სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 182

2022 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - ქალები მეცნიერებაში - განსაკუთრებული მიღწევებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის დამტკიცების
შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - „ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N35 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 26 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1162421) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - ქალები მეცნიერებაში - განსაკუთრებული მიღწევებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით კონკურსში გამარჯვებული კანდიდატი შიფრით: WST-22-003.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატისათვის დაწესებული ფულადი პრემიების გადაცემა.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინმდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიულ დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, მანანა დათუაშვილს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისთვის და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურისათვის.
5. ბრძანება ძალაშია მხარეებისთვის გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N64).

ჯაბა სამუშია